ამხანაგობა „მარსი“-ს

პარტნიორთა კრების ოქმი

ქ. თბილისი 25 ივლისი 2014 წელი

კრებას ესწრებოდნენ ამხანაგობა „მარსი“-ს პარტნიორები: **ინგერ ყურმაშვილი** (01010014050), **მიხეილ ძაძამია** (01017002718) და **გიორგი ქისიშვილი** (პირადი № 01017001957); კრებაზე წარმოდგენილია ხმათა 100 %.

კრება გადაწყვეტილებაა უნარიანია.

დღის წესრიგი:

ამხანაგობა „მარსი“-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, ვეძათხევის ქ. №18**, წითელი ხაზების კორექტირება.

დაადგინეს:

მოხდეს წითელი ხაზების კორექტირება ამხანაგობა „მარსი“-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, ვეძათხევის ქ. №18.**

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

ინგერ ყურმაშვილი ინგერი ყურმაშვილი

მიხეილ ძაძამია მიხეილ ძაძამია

გიორგი ქისიშვილი გიორგი ქისიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140783694
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.07.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	28224365615714

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდახუთი ივლისი. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 18, ვამოწმებ **ამხანაგობა „მარსი“-ს პარტნიორთა კრების ოქმზე (25.07.2014 წელი),** რომელიც წარმოდგენილია ორ ცალად, **ინგერ ყურმაშვილის** (დაბადებული 21.07.1946 წელს, მცხოვრები თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ, კორ. 13, ბინა 85, პირადი №01010014050), **მიხეილ ძაძამიას** (დაბადებული 18.09.1978 წელს, მცხოვრები თბილისი, ლერმონტოვის ქ. №29/5, პირადი № 01017002718) და **გიორგი ქისიშვილის** (დაბადებული 14.03.1979 წელს, მცხოვრები თბილისი, ჭონქაძის ქ. №14ბ, პირადი № 01017001957) ხელმოწერების ნამდვილობას. ხელმოწერები შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით. მათი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერები ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებს.

გადახდილია სანოტარო საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 12.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 2.16 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2.00 ლარი, სულ 16.16 ლარი.

ნოტარიუსი ნ. ჯანხოთელი

ამხანაგობა მარსის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების ოქმი

№6

ქ.თბილისი 4.04.2011.

ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები: **მიხეილ ძაძამია, გიორგი ქისიშვილი.**
მოწვეული პირი: ინგერი ყურმაშვილი

კრების თავჯდომარე: მიხეილ ძაძამია.

დღის წესრიგი: ამხანაგობის თავჯდომარის **უფლებების შეწყვეტა და ახალი თავმჯდომარის** არჩევის საკითხი;

კრებამ იმსჯელლა დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით დააადგინა:

შეუწყდეს ამხანაგობის თავმჯდომარე აკაკი ტულუშს თავმჯდომარის უფლებამოსილება, ხოლო მის ნაცვლად ამხანაგობა მარსის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ინგერი ყურმაშვილი (პ№01010014050) და მიენიჭოს მას სრულად ამხანაგობის მიმდინარე საქმეების მართვა და ხელმძღვანელობა,
მშენებლობის პროცესის ორგანიზაციულ-ფინანსური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა,
ურთიერთობის წარმართვა სამშენებლო კომპანიებთან, მშენებლობის განხორციელებისათვის,
ამხანაგობის საფინანსო საქმიანობის წარმართვა,
ამხანაგობის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა, პროექტის მიმდინარეობის შესახებ,
ამხანაგობის ახალი წევრთა მიღება, ქონების რეალიზაცია და მესამე პირებთან ხელშეკრულების გაფორმება,
სხვა საქმიანობა, რაც დაკავშირებულია ამხანაგობის ყოველდღიურ საქმიანობასთან,
მინდობილობების გაცემა,
ამხანაგობის თავჯდომარეს ეკისრება ამხანაგობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ: იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის ნოტარიუსებს, სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.
თავჯდომარე უფლებამოსილია ერთპიროვნულად ამხანაგობის სახელით აიღოს კრედიტი, გააფორმოს საკრედიტო ხელშეკრულება, დატვირთოს ამხანაგობის სახელზე რიცხული ქონება იპოთეკით.

ინგერი ყურმაშვილი მიხეილ ძაძამია გიორგი ქისიშვილი.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N110371848
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.04.2011 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ბელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი **რუსთაველის გამზ. 18**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	03051724581111

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შეჭმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

ქალაქი თბილისი, ორი ათას თერთმეტი წლის თხუთმეტი აპრილი. მე, ნოტარიუსი, ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 18, ვამოწმებ ამხანაგობა "მარსის" დამფუძნებელ წევრთა 04.04.2011 წლის საერთო კრების ოქმზე № 6, რომელიც წარმოდგენილია ორ ცალად, **მიხეილ ძაძამიას**, დაბადებულის 18.09.1978 წელს თბილისში, მცხოვრების თბილისში, ლერმონტოვის 29/5, პირადი ნომერი 01017002718 გიორგი ქისიშვილის, დაბადებულის 14.03.1979 წელს თბილისში, მცხოვრების თბილისი, ანიელ ჭონქაძის 14-ბ, პირადი ნომერი 01017001957 და **ინგერი ყურმაშვილის**, დაბადებულის 21.07.1946 წელს ახალციხეში, მცხოვრების თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, 4 მ/რ, კორპუსი 13, ბინა 85, პირადი ნომერი 01010014050, ხელმოწერის ნამდვილობას. ხელმოწერები შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით. მათი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების სისწორეს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერები ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებს.

გადახდილია საზღაური, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, 12 (თორმეტი) ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 2,16 (ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 31[1]-ე მუხლის შესაბამისად ორი (2) ლარი, სულ 16,16 (თექვსმეტი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N110372006
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.04.2011 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	71857420706911

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

ქ.თბილისი, ორი ათას თერთმეტი წლის თორმეტი აპრილი, 12.04.2011 წელი

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზირი № 18, ეამოწმებს ამხანაგობა "მარსი"-ს დამფუძნებელ წევრთა 04.04.2011 წლის საერთო კრების ოქმი № 6, დამოწმებული ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელის მიერ 12.04.2011 წელს, რეესტრი № 110371848, ფოტოასლის სისწორეს დედანთან, "სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქციის" 59-ე მუხლის შესაბამისად, 2 გვერდი, ათ ცალად.
გადახდევინებულია საზღაური საქართველოს კანონის "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" 29-ე მუხლის თანახმად, 10,00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 1,80 ლარი, სულ 11,80 ლარი

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N110897198
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.08.2011 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	01551388145311

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

ქ.თბილისი, ორი ათას თერთმეტი წლის ოცდახუთი აგვისტო, 25.08.2011 წელი

მე, თამარ პოლიკაშვილი - ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელის შემცვლელი პირი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე თბილისი, რუსთაველის გამზირი № 18, ვამოწმებ ამხანაგობა 'მარსის'' დამფუძნეელ წევრთა საერთო კრების ოქმის № 6 (04.04.2011 წელი) ფოტოასლის სისწორეს დედანთან, 4 გვერდი, ხუთ ცალად.
გადახდევინებულია საზღაური საქართველოს კანონის ''სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ'' 29-ე მუხლის თანახმად, 10 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 1,80 ლარი, სულ 11,80 ლარი.

ნოტარიუსის შემცვლელი პირი თამარ პოლიკაშვილი



ამხანაგობა „მარსი“-ს დამფუძნებელ წევრთა
საერთო კრების ოქმი

ქ. თბილისი 17 მარტი 2014 წელი

კრებას ესწრებოდნენ ამხანაგობის წევრები: **მიხეილ ძაძამია** (პირადი № 01017002718), **გიორგი ქისიშვილი** (პირადი № 01017001957) და **ინგერი ყურმაშვილი** (პირადი № 01010014050). კრებაზე წარმოდგენილია ხმათა 100 %.

კრების თავმჯდომარე: **ინგერი ყურმაშვილი**
კრების მდივანი: **გიორგი ქისიშვილი**

<u>დღის წესრიგი:</u>

ამხანაგობის თავმჯდომარისთვის უფლებამოსილებების გაზრდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოისმინეს მიხეილ ძაძამიას ინფორმაცია.

კრებამ იმსჯელა დღის წესრიგთან დაკავშირებით და დაადგინა:

ამხანაგობა „მარსი“-ს თავმჯდომარეს სრულად მიენიჭოს:

- ამხანაგობის მიმდინარე საქმეების მართვა და ხელმძღვანელობა;
- მშენებლობის პროცესის ორგანიზაციულ-ფინანსური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა;
- მშენებლობის განხორციელებისათვის სამშენებლო კომპანიებთან ურთიერთობის წარმართვა;
- ამხანაგობის საფინანსო საქმიანობის წარმართვა;
- პროექტის მიმდინარეობის შესახებ ამხანაგობის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- ამხანაგობის ახალ წევრთა მიღება, ქონების რეალიზაცია და მესამე პირებთან ხელშეკრულების გაფორმება;
- მინდობილობების გაცემა;
- ამხანაგობის წარმოადგენლობა ყველა ინსტანციას სასამართლოში, ასევე ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში;
- სხვა საქმიანობა, რაც დაკავშირებულია ამხანაგობის ყოველდღიურ საქმიანობასთან;

ამხანაგობის თავმჯდომარეს აგრეთვე გააჩნია ამხანაგობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ: იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სანოტარო ბიუროებში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

თავმჯდომარე უფლებამოსილია ერთპიროვნულად, ამხანაგობის სახელით აიღოს კრედიტი, გააფორმოს საკრედიტო ხელშეკრულება, იპოთეკით დატვირთოს ამხანაგობის სახელზე რიცხული ქონება.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება.

კრების თავმჯდომარე – **ინგერი ყურმაშვილი** ინგერი ყურმაშვილი

კრების მდივანი – **გიორგი ქისიშვილი** გიორგი ქისიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140235511
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.03.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	05527406736214

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, ორი ათას თოთხმეტი წლის ჩვიდმეტი მარტი. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 18, ვამოწმებ **ამხანაგობა „მარსი“-ს დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების ოქმზე (17.03.2014 წელი),** რომელიც წარმოდგენილია ორ ცალად, **ინგერ ყურმაშვილის** (დაბადებული 21.07.1946 წელს, მცხოვრები თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ, კორ. 13, ბინა 85, პირადი №01010014050) და **გიორგი ქისიშვილის** (დაბადებული 14.03.1979 წელს, მცხოვრები: ქ. თბილისი, დ. ჭონქაძის ქ. № 14-ბ, პირადი № 01017001957) ხელმოწერების ნამდვილობას. ხელმოწერები შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით. მათი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, საქართველოს ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერები ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებს.

გადახდილია სანოტარო საზღაური, ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 8.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 1.44 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2.00 ლარი, სულ 11.44 ლარი.

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი

საქართველო

3531/2005 წ

სანოტარო აქტი

ამხანაგობა "მარსი"-ს (ყოფილი "ცისარტყელა - 2005"-ის) დებულების ახალი რედაქცია

2005 წლის ოცდაცხრა ნოემბერი

ნოტარიუსი: ხუხა მოსია
ქ. თბილისი, დ აღმაშენებლის გამზ. №95.

ქ. თბილისი
2005წ.



სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 1-3044

საქართველო

ორიათას ხუთი წლის ოცდაცხრა ნოემბერს მე ხუხა მოსიას, აფხაზეთის არ. ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №95, პირველ სართულზე, მომმართეს გიორგი მიქელაძემ, მიხეილ ძაძამიამ და ვალერიან ტოგონიძემ, წარმოადგინეს ამხანაგობა "მარსი"-ს - ყოფილი ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის დებულება ახალი რედაქციით და მოითხოვეს მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მხარეთა პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გიორგი მიქელაძემ (დაბ. 06.08.1980წ. ქ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, რაზმაძის ქ. №58, ბ. 2, პ/მ №გ0377036, პირადი №01025004326, გაც. 30.10.2002წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რ-ნის შსს საპასპორტო განყოფილების მიერ, პროფესიით იურისტი); მიხეილ ძაძამიამ (დაბ. 18.09.1978წ. საქართველოში, მცხ. ქ. თბილისი, ლერმონტოვის №29/5, პასპორტი GEO №1018490, პირადი №01017002718, გაც. 25.03.2004წ. საქართველოს შსს მიერ, პროფესიით ინფორმატიკოსი) და ვალერიან ტოგონიძემ (დაბ. 26.07.1981წ. საქართველოში, მცხ. ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №28, პასპორტი GEO №0924953, პირადი №01025007069, გაც. 26.03.2003წ. საქართველოს შსს მიერ, პროფესიით ეკონომისტი) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათი ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევამოწმე მათი უფლებამოსილება, თანახმად: 1) სანოტარო აქტისა, დამოწ. ნოტ. ა. მიხაშვილის მიერ 16.04.2005წ. რეესტრით № 1-3349 ამხანაგობა "ცისარტყელა-2005"-ის დაფუძნების შესახებ, რომლის ახლი დამოწ. ნოტ. ხ. მოსიას მიერ 29.11.2005წ. რეესტრით №1-3030; 2) ცნობა 3365, გაც. 29.11.2005წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რნის საგადასახადო ინსპექციის მიერ; 3) ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმი; 4) ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის დამფუძნებელ წევრთა უფლებების გადაცემისა და საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულება, დამოწ. ნოტ. ხ. მოსიას მიერ 29.11.2005წ. რეესტრის №1-3032. შემდეგ მე შევადგინე ამხანაგობა "მარსი"-ს - ყოფილი ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის დებულება ახალი რედაქციით, რომლის პროექტი წავუკითხე და განვუმარტე მხარეებს. ასევე განვუმარტე დებულებაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. განმარტების მოსმენის შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს დებულება და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ დებულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას, რის შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე დებულებას.

ამხანაგობა "მარსი"-ს - ყოფილი ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის დებულება ახალი რედაქციით

მხარეები:

გიორგი მიქელაძე, მიხეილ ძაძამია და ვალერიან ტოგონიძე – შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც "დამფუძნებელი წევრები"

1. ერთობლივი საქმიანობის მიზანი. სამართლებრივი სტატუსი. სახელწოდება.

1.1. ამხანაგობის დამფუძნებელთა მიზანია წინამდებარე დაფუძნების აქტით განსაზღვრული წესითა და პირობებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად (შემდგომში – „საცხოვრებელი სახლი").

1.2. ერთობლივი საქმიანობის საგანია: *ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე №34-ში მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და მის ნაცვლად ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება.*

1.3. საცხოვრებელი სახლის სართულების რაოდენობა, სახლში ბინების რაოდენობა, თითოეული ბინის ფართი და სხვა მახასიათებლები დადგინდება სამშენებლო დოკუმენტაციით.

1.4. დასახული მიზნის განსახორციელებლად, მხარეები ქმნიან წინამდებარე ერთობლივ საქმიანობას (ამხანაგობას), იურიდიული პირის შეუქმნელად, რომელიც არსებობს, ფუნქციონირებს და მოქმედებს ამ ხელშეკრულების, დებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.5. მესამე პირებთან ურთიერთობის გამარტივების და იდენტიფიკაციის მიზნისათვის, ამ ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ საქმიანობას – ამხანაგობას პირობითად ეწოდება „მარსი" (შემდგომში მოიხსენიება, როგორც „ამხანაგობა")

1.6. „ამხანაგობის" მართვის ორგანოს ადგილსამყოფელია: *ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №34.*

97

2. შენატანი ამხანაგობაში.

„ამხანაგობაში" გაწევრიანების მიზნისათვის და დასახული მიზნის განსახორციელებლად, „ამხანაგობის" დამფუძნებელმა წევრებმა თანახმად ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმისა №2 და ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის წევრთა უფლებების გადაცემისა და საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულებისა, დამოწ. ნოტ. ხ. მოსიას მიერ 29.11.2005წ. რეესტრის №1-3032 მიიღეს ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის უფლება-მოვალეობანი და ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

2.2. აღნიშნული შენატანები უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ „ამხანაგობის" საერთო მიზნის განხორციელებას.

2.3. „ამხანაგობის" თითოეული დამფუძნებლის ამხანაგობაში წილს შეადგენს:

ა) გიორგი მიქელაძის, მიხეილ ძამამიასა და ვალერიან ტოგონიძის – №42/8 მიწის ნაკვეთი ფართობით 4040 კვ.მ. და შენობა-ნაგებობები (დასანგრევი) საერთო ფართობით 1140 კვ.მ., რომლის მახასიათებლებია:

სარეგისტრაციო ზონა – *თბილისი;* კოდი – *1;*
სექტორი – *ვაკე;* კოდი – *14;*
კვარტლის № – *3;* ნაკვეთის № – *42/8;*
ფართობი – *4040 კვ. მ;* ნაკვეთის წინა № – *42;*
უფლება – *საკუთრება;* ნაკვეთის ფუნქცია – *არასასოფლო-სამეურნეო,*
ზონალური ტერიტორიული კოეფიციენტი – *6.*

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე და შენობა-ნაგებობებზე დასახელებული პირის საკუთრების უფლება დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

1. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაც. 28.11.2005წ., სარეგისტრაციო №1/14/3/42/8, განაცხადის რეგისტრაციის №61141/2005, თარიღი 21.11.2005წ;
2. სანოტარო აქტი, დამოწ. ნოტ. ჟ. მიხიაშვილის მიერ 16.04.2005წ. რეესტრით № 1-3349 ამხანაგობა "ცისარტყელა-2005"-ის დაფუძნების შესახებ, რომლის ასლი დამოწ. ნოტ. ხ. მოსიას მიერ 29.11.2005წ. რეესტრით №1-3030.

მესაკუთრეების განცხადებით, აღნიშნული უძრავი ქონება არ არის სადაო, მესამე პირს არ შეიძლება რაიმე პრეტენზია ჰქონდეს ნასყიდობის საგნის მიმართ და არ არის ყადაღადადებული, რაც *დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2005 წლის 29 ნოემბერს გაცემული ცნობით უძრავ ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ, რომლის რეგისტრაციის №ყად – 45509/05 და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 24.11.2005წ. გაც. ცნობით № მ-6641-05 ამხანაგობა "ცისარტყელა-2005"-ის სახელზე.*

2.4. *ბ)* ერთიანად დამფუძნებელთა წილი შეადგენს 500000 (ხუთას ათას) ლარს, საიდანაც:

- *ვალერიან ტოგონიძეს – 33,4% - რაც შეადგენს 170000 (ასსამოცდაშვიდ ათას) ლარს;*
- *გიორგი მიქელაძეს – 33,3% - რაც შეადგენს 166500 (ასსამოცდაექვსი ათას ხუთას) ლარს;*
- *მიხეილ ძამამიას - 33,3% - რაც შეადგენს 166500 (ასსამოცდაექვსი ათას ხუთას) ლარს.*

2.5. წინამდებარე *ამხანაგობა "მარსი"-ს - ყოფილი ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის დებულება ახალი რედაქციით* არის საფუძველი საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის დამფუძნებელთა საერთო საკუთრებად აღრიცხვისა. დაფუძნების აქტი საჯარო რეესტრს წარედგინება აქტის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

2.6. გარდა ზემოთმითითებული ქონებისა, თითოეული დამფუძნებელი ვალდებულია თანაბრად გაიღოს ყველა ხარჯი, რაც აუცილებელი იქნება ამხანაგობის მიზნის მისაღწევად – საპროექტო დოკუმენტაციის სრული პაკეტის მომზადებისა და საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

3. „ამხანაგობის" მმართველი ორგანოები.

3.1. სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით, „ამხანაგობის" წევრები იყოფიან ორ ჯგუფად: „დამფუძნებელი წევრები" და ჩვეულებრივი წევრები.

3.2. „დამფუძნებელ წევრებს" განეკუთვნებიან ამ ხელშეკრულების პირველ გვერდზე აღნიშნული პირები, რომელთა ინიციატივითაც შეიქმნა ამხანაგობა და რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამხანაგობის ორგანიზაციულ-ფინანსურ მართვაზე.

3.3. ჩვეულებრივი წევრები იქნებიან ის პირები, რომლებიც „ამხანაგობის" წევრები გახდებიან შემდგომში, „დამფუძნებელ წევრთა" გადაწყვეტილების შესაბამისად ან ის წევრები, რომელთაც მიენიჭებათ ამგვარი სტატუსი დამფუძნებელ წევრთა კრების მიერ.

3.4. „ამხანაგობის" მართვის ორგანოებია: ა) „ამხანაგობის" „დამფუძნებელ წევრთა" „ამხანაგობის" წევრთა საერთო კრება; გ) „ამხანაგობის" თავმჯდომარე.

07

3

4. „დამფუძნებელ წევრთა“ კრება.

4.1. „დამფუძნებელ წევრთა“ კრება არის „ამხანაგობის“ მმართველობის უმაღლესი ორგანო;

4.2. „დამფუძნებელ წევრთა“ საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარის, ან რომელიმე „დამფუძნებელი წევრის“ მოთხოვნით.

4.3. „დამფუძნებელ წევრთა“ საერთო კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა „დამფუძნებელ წევრთა“ რიცხვითი რაოდენობის 2/3-ის თანხმობა;

4.4. „დამფუძნებელ წევრთა“ კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

4.4.1. „ამხანაგობის“ ძირითადი ორგანიზაციულ-ფინანსური საკითხების გადაწყვეტა;

4.4.2. „ამხანაგობაში“ ახალი წევრის მიღება „დამფუძნებელი წევრის სტატუსით“;

4.4.3. „ამხანაგობაში“ „ჩვეულებრივ წევრთა“ მიღება;

4.4.4. „ამხანაგობაში“ წევრთა შენატანების ოდენობისა და ვადის ცვლილების განსაზღვრა;

4.4.5. „ამხანაგობის“ წევრის „ამხანაგობიდან“ გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

4.4.6. „ამხანაგობის“ წევრთა შორის წილობრივი საკუთრების იდენტიფიკაცია და განსაზღვრა;

4.4.7. „ამხანაგობის“ უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა;

4.4.8. „ამხანაგობის“ თავმჯდომარის არჩევა.

4.5. „ამხანაგობის“ „დამფუძნებელ წევრთა“ კრება მოიწვევა „ამხანაგობის“ თავმჯდომარის მიერ ან რომელიმე დამფუძნებელი წევრის ინიციატივით, წევრებისათვის კრების მოწვევამდე არაუმცირეს 3 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

4.6. „დამფუძნებელი წევრი“ კრებაზე შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი რწმუნებული პირის მიერ. ამგვარი რწმუნებულება დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მარწმუნებელი იურიდიული პირია.

4.7. კრება გადაწყვეტილებუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია დამფუძნებელ წევრთა 3/4.

4.8. კრებას თავმჯდომარეობს „ამხანაგობის“ თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში სხვა „დამფუძნებელი“ წევრი კრების არჩევით.

4.9. „დამფუძნებელ წევრთა“ გადაწყვეტილებები მიიღება კრების ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

4.10. კრების გადაწყვეტილებებში, რომელიც ეხება უძრავ ქონებაზე უფლებებისა და „ამხანაგობის“ თავმჯდომარეს არჩევას უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

5. „ამხანაგობის“ წევრთა საერთო კრება.

5.1. „ამხანაგობის“ წევრთა საერთო კრება არის „ამხანაგობის“ ორგანო, რომელშიც შედის „ამხანაგობის ყველა წევრი, როგორც „დამფუძნებელი წევრები“, ასევე „ჩვეულებრივი წევრები“.

5.2. „ამხანაგობის“ წევრთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

5.2.1 „ამხანაგობის“ საერთო სარგებლობაში არსებული ფართობის, ხარგებლობა, ფლობა და განკარგვა და შესაბამისი წესების დადგენა;

5.2.2 „დამფუძნებელ წევრთა“ კრებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მოწოდება საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შედის „დამფუძნებელ წევრთა“ კრების კომპეტენციაში.

5.2.3 „ამხანაგობის“ სხვა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც არ შედის „დამფუძნებელ წევრთა“ კრების კომპეტენციაში;

5.3. „ამხანაგობის“ წევრთა კრების მოწვევისა და წარმართვის პროცედურა „დამფუძნებელ წევრთა“ კრების ანალოგიურია.

6. „ამხანაგობის“ თავმჯდომარე.

6.1. „ამხანაგობის“ მმართველი (აღმასრულებელი) ორგანოს წარმოადგენს „ამხანაგობის“ თავმჯდომარე; „ამხანაგობის“ თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს:

[redacted] – დაბ. 26.07.1981წ. საქართველოში, მცხ. ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №28, პასპორტი GEO №0924953, პირადი №01025007069, გაც. 26.03.2003წ. საქართველოს შსს მიერ, პროფესიით ეკონომისტი.

6.2. „ამხანაგობის“ თავმჯდომარის ფუნქცია:

- „ამხანაგობის“ მიმდინარე საქმეების მართვა და ხელმძღვანელობა;
- მშენებლობის პროცესის ორგანიზაციულ-ფინანსური ხელმძღვანელობა და შესაბამისი
- ერთიერთობების წარმართვა სამშენებლო კომპანიებთან, მშენებლობის განხორციელებისათვის;
- „ამხანაგობის“ საფინანსო საქმიანობის წარმართვა;
- „ამხანაგობის“ წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა „პროექტის“ მიმდინარეობის შესახებ.
- „ამხანაგობის“ ახალი წევრთა მიღების ორგანიზაცია;

„ამხანაგობისათვის“ წინადადებების მომზადება ახალი წევრის მიღებისა და შესაბამისი შენატანისა და წილის განსაზღვრისათვის;

6.3. სხვა საქმიანობა, რაც დაკავშირებულია „ამხანაგობის“ ოპერატიულ საქმიანობასთან.

6.4. „ამხანაგობის“ თავმჯდომარეს გააჩნია „ამხანაგობის“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს „ამხანაგობა“ ნებისმიერ მესამე პირთან ურთიერთობაში, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

6.5. იმ საკითხებთან მიმართებით, რაც განეკუთვნება „დამფუძნებელ წევრთა“ ან წევრთა საერთო კრების კომპეტენციას, თავმჯდომარე საჭიროებს ამ ორგანოთა თანხმობას.

6.6. თავმჯდომარე გამგეობის სახელით ხსნის ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში და უფლებამოსილია მათ განკარგვაზე.

6.7. თავმჯდომარე ხელს აწერს ნებისმიერ გარიგებას „ამხანაგობის“ სახელით;

6.8. თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია „ამხანაგობის“ წევრების წინაშე.

6.9. თავმჯდომარე უფლებამოსილია „ამხანაგობის“ საქმეების გაძღოლის მიზნისათვის დაიქირაოს საკონსალტინგო და თანამშრომლები.

7. „ამხანაგობის“ წევრები და მათი ძირითადი უფლება-მოვალეობები.

7.1. ნებისმიერი პირი, რომელიც გამოთქვამს სურვილს გახდეს „ამხანაგობის“ წევრი უნდა აღიარებდეს და ეთანხმებოდეს წინამდებარე „ამხანაგობის“ ხელშეკრულებას და მასში მითითებულ უფლება-მოვალეობებს.

7.2. „ამხანაგობის“ წევრად პირის მიღებისას მასთან ფორმდება ამხანაგობის წევრობის ხელშეკრულება, სადაც ამ ხელშეკრულების პირობებისაგან დამატებით, განისაზღვრება ასეთი წევრის წილი და სხვა პირობები.

7.3. „ამხანაგობის“ წევრად გახდომის ფაქტით, ნებისმიერი ასეთი პირი ადასტურებს, რომ იგი ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას მოიწვევს სავალდებულოდ.

8. „ამხანაგობის“ წევრთა პასუხისმგებლობა.

8.1. „ამხანაგობის“ წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას „ამხანაგობის“ წევრობიდან, თუ იგი არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს მის ვალდებულებას, შესატანის შეტანის თაობაზე.

8.2. შენატანის განუხორციელებლობისას ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარე ამგვარ წევრს განუსაზღვრავს დამატებით ვადას შენატანის განსახორციელებლად. თუ დათქმულ ვადაშიც შენატანი არ განხორციელდება, თავმჯდომარე წინადადებით შეიტანს „დამფუძნებელ წევრთა“ საერთო კრებაზე დამრღვევი პირის გარიცხვის შესახებ.

9. „ამხანაგობის“ წევრის მიერ თავისი საკუთრების უფლების განკარგვა.

9.1. „ამხანაგობის“ წევრები აცხადებენ თანხმობას, იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია გაასხვისოს „ამხანაგობის“ წევრობიდან გამომდინარე მის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი უფლება. „ამხანაგობაში“ „ჩვეულებრივ წევრთა“ თანხმობის გარეშე.

9.2. „ამხანაგობის“ წევრის მიერ თავისი უფლებების გასხვისებისათვის აუცილებელია დამფუძნებელ წევრთა თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს ნებისმიერ შემთხვევაში, გარდა იმისა, როდესაც არსებობს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პატიჟდასადები მიზეზი.

9.3. „ამხანაგობის“ წევრის მიერ „ამხანაგობის“ წევრობასთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლებების გასხვისებისას საცხოვრებელ/არასაცხოვრებელ ფართობთან დაკავშირებული უფლებების ჩათვლით „დამფუძნებელი წევრები“ სარგებლობენ შეძენის უპირატესი უფლებით.

9.4. წილის ახალი შემძენი ვალდებულია დაეთანხმოს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიიღოს მასში გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობები. ჭილის შემძენზე გადადის ის ყველა ვალდებულება, რაც წილთან დაკავშირებით გააჩნდა წინა წევრს.

10. „ამხანაგობიდან“ გასვლა.

10.1. ნებისმიერ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გაეცნოს „ამხანაგობიდან“, რაც არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

10.2. „ამხანაგობიდან“ გასვლის მსურველმა წერილობით განცხადებით უნდა მიმართოს „ამხანაგობის“ თავმჯდომარეს. გამგეობა მოცემულ საკითხს განსახილველად გადასცემს „დამფუძნებელი წევრთა“ კრებას, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას წევრის „ამხანაგობიდან“ გასვლის შესახებ. მგვარი გადაწყვეტილება წევრის „ამხანაგობიდან“ გასვლის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს განცხადების წარდგენიდან 45 დღის განმავლობაში.

11. კანონმდებლობა. დავა. დებულებათა ურთიერთდამოკიდებულება.

11.1. ეს ხელშეკრულება შედგენილია და იმართება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ასლი
07

ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება გაბათილდა მისი კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა მიზეზის გამო, ეს გავლენას არ მოახდენს დებულების სხვა მუხლებზე და ამ ხელშეკრულებაზე მთლიანად.

12. დასკვნითი დებულებები.

12.1. ამ ხელშეკრულების ტექსტში შემდგომი ცვლილებები და დამატებები შეტანილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით, რასაც ხელს უნდა აწერდეს ყოველი მხარე.

12.2. ეს ხელშეკრულება მხარეთა ხელმოწერისთანავე დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით;

12.3. წინამდებარე აქტი შედგენილია (მხარეთა მოთხოვნით) ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ხუხა მოსიას სანოტარო არქივში.

12.4. წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი:

1. სანოტარო აქტი, დამოწ. ნოტ. გ. შიხაშვილის მიერ 16.04.2005წ. რეესტრით № 1-3349 ამხანაგობა "ცისარტყელა-2005"-ის დაფუძნების შესახებ, რომლის ახლი დამოწ. ნოტ. ხ. მოსიას მიერ 29.11.2005წ. რეესტრით №1-3030 (იხილეთ საქმეში);
2. ცნობა 3365, გაც. 29.11.2005წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რნის საგადასახადო ინსპექციის მიერ (იხილეთ საქმეში);
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაც. 28.11.2005წ., სარეგისტრაციო №1/14/3/42/8, განაცხადის რეგისტრაციის №61141/2005, თარიღი 21.11.2005წ (იხილეთ საქმეში);
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2005 წლის 29 ნოემბერს გაცემული ცნობა უძრავ ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ, რომლის რეგისტრაციის №ყად – 45509/05 (იხილეთ საქმეში);
5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 24.11.2005წ. გაც. ცნობა № მ-6641-05 ამხანაგობა "ცისარტყელა-2005"-ის სახელზე (იხილეთ საქმეში);
6. ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმი (იხილეთ საქმეში);
7. ამხანაგობა "ცისარტყელა 2005"-ის დამფუძნებელ წევრთა უფლებების გადაცემისა და საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულება, დამოწ. ნოტ. ხ. მოსიას მიერ 29.11.2005წ. რეესტრის №1-3032 (იხილეთ საქმეში).

12.5. ნოტარიუსმა "დამფუძნებლებს" წაუკითხა წინამდებარე დებულება, დამფუძნებლებმა წაიკითხეს დანართებითურთ, მოიწონეს იგი და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერეს მას ხელი.

12.6. მხარეებმა გადაიხადეს სანოტარო სანოტარო მომსახურების საზღაური 18,0 ლარი (თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი,1998წ. №1417 II ს) 19 მუხლისა). აგრეთვე 3,0 ლარი (თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი,1998წ. №1417 II ს) 31.2 მუხლისა). სულ 21,0 ლარი.

ამხანაგობა "მარსი"-ს

დამფუძნებელი წევრები:

1. ვალერიან ტოგონიძე _____ ვალერიან ტოგონიძე (თავმჯდომარე)
2. გიორგი მიქელაძე _____ გიორგი მიქელაძე
3. მიხეილ ძაძამია _____ მიხეილ ძაძამია

ნოტარიუსი: _____ ხუხა მოსია

ასლი
07




ასლი
07